რეფორმები საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში

(1996-2012 წ.წ.)

რეფორმების I ეტაპი 1996-2004წწ.

საქართველოში 1994 წლის მიწურულიდან პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია დაიწყო. 1995 წლის შემოდგომაზე შემოღებულ იქნა ლარი, მშპ ზრდის ტემპმა 1995 წელს 3%, ხოლო 1996-97 წლებში 10-11% შეადგინა. 1995 წელს მიღებული იქნა კანონი **„მეწარმეთა შესახებ“**, რომელმაც შესაძლებელი გახადა კომერციული კომპანიების შექმნა და მათი შემდგომი საქმიანობა. 1997 წელს ძალაში შევიდა სამოქალაქო კოდექსი. 1996 წელს დაიწყო მასობრივი პრივატიზაციის პროცესი და მოხდა სახელმწიფო საწარმოების კერძო მესაკუთრეების ხელში გადასვლა. სხვადასხვა სფეროს საწარმოებთან ერთად მოხდა „საქენერგოს“ სისტემაში არსებული 30 საწარმოდან 23-ის პრივატიზებაც. 1996 წლის გაზაფხულიდან პრივატიზების მეორე ეტაპი დაიწყო.

მიუხედავად სტაბილიზაციის პროცესის დაწყებისა, მწვავე კრიზისი იყო ენერგეტიკულ სექტორში. საქართველო ჯერ კიდევ განიცდიდა საწვავის მკაცრ უკმარისობას, რომელიც აუცილებელი იყო თბოელექტროსადგურების ოპერირებისთვის.


საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 30 მაისის ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ **ფინანსური მდგომარეობა ენერგეტიკის სექტორში ძალზე რთულია. ფინანსების უმეტესი ნაწილი ზამთრის განმავლობაში დახარჯული იყო საწვავის საყიდლად, მაგრამ სამინისტროებმა და რეგიონებმა არასათანადოდ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და შედეგად, მარტის თვეში საქენერგო ფინანსური რესურსების გარეშე აღმოჩნდა.** ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო ვერ ხდებოდა თბოსადგურებისთვის საჭირო საწვავის სრული მოცულობით შეძენა, რის გამოც მომხმარებელების უმეტესობას, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ელექტროენერგია მხოლოდ დღეში რამდენიმე საათით მიეწოდებოდა.

დიაგრამა გვიჩვენებს ელექტროენერგიის გენერაციას 1990-2011 წლებში საწვავის სახეების მიხედვით.

ასეთ ვითარებაში ქვეყანას არ დარჩა არჩევანი - რეფორმები ენერგეტიკის სექტორში(ისევე როგორც სხვა სექტორებში) გარდაუვალი იყო. მეორეს მხრივ, ასეთი იყო დონორების მოთხოვნაც.

1996 წელს შეიქმნა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომელსაც დაევალა სათბობ-ენერგეტიკის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ენერგეტიკული სექტორის სახელმწიფო მართვა და რეგულირება. 1996 წელს გამოიცა პრეზიდენტის ორი ბრძანებულება, რომლებიც იმ პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო და რომელსაც საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეფორმის გატარებაში მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი გამოიწვია. ეს გახლდათ: 1996 წლის 4 ივლისის #437 ბრძანებულება **„ენერგეტიკის სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ“** და 1996 წლის 19 დეკემბრის №828 ბრძანებულება **„ელექტროენერგიის სექტორის პრივატიზაციის შესახებ».** ენერგეტიკის სფეროში მდგომარეობის ნორმალიზებისთვის აგრეთვე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1996 წლის 19 დეკემბრის №829 ბრძანებულება **„ენერგეტიკის სფეროში სატარიფო სისტემის ეტაპობრივი ნორმალიზაციისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ზომების შესახებ».**

ბრძანებულება ენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ განსაზღვრავდა:



წყარო: ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მასალები. 2012წ.

1. ენერგეტიკული სექტორი აღიარებულ იქნა პრიორიტეტულ სფეროდ;

2. ეკონომიკის სამინისტროში უნდა შექმნილიყო ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელიც უფლებამოსილი იყო დაერეგულირებინა საბითუმო და საცალო ტარიფები ენერგეტიკის სფეროში. ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრები უფლებამოსილნი იყვნენ დაემტკიცებინათ მეთოდოლოგია და წესები ელექტროენერგიის საბითუმო და საცალო ტარიფების მეთოდოლოგია და ამ ტარიფების დადგენის წესები.

3. უნდა მომხდარიყო ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია „საქენერგოს„ რეორგანიზება და მის ბაზაზე შექმნილიყო ფინანსურად დამოუკიდებელი 3 ქვესექტორი - გენერაცია, გადაცემა -დისეჩერიზაცია და დისტრიბუცია.

ბრძანებულება ელექტროენერიის სექტორის პრივატიზაციის შესახებ მიზნად ისახავდა რეგულირებული ენერგეტიკული ბაზრის შექმნას; ენერგეტიკის სექტორის კრიზისიდან გამოყვანას; სექტორის მოდერნიზაციას, განვითარებას და მასში ინვესტირების სტიმულების შექმნას; მარეგულირებელი და კომერციული ფუნქციების გამიჯვნას; საკუთრების სხვადასხვა ფორმების შემოღებას; კონკურენტუული გარემოს შექმნას; სახელმწიფო მონოპოლიის მოსპობას; ადგილობრივი და საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვას და სხვ. ბრძანებულებით დამტკიცდა სექტორის პრივატიზაციის გეგმა. გეგმით განისაზღვრა რომელი საწარმოები უნდა ყოფილიყო პრივატიზირებული და რომელი - არა. გადაწყდა გენერაციისა და დისტრიბუციის კომპანიების პრივატიზაცია მათი წილების პრივატიზების გზით. სადისტრიბუციო კომპანიების შემთხვევაში, წილების 51% გამოტანილი იქნა ტენდერებზე.

ბრძანებულებამ ენერგეტიკის სექტორში სატარიფო სისტემის ეტაპობრივი ნორმალიზების და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ზომების შესახებ გააუქმა სხვადასხვა შეღავათები, რომლებიც არსებობდა კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის და შემოიღო ყველასთვის უნიფიცირებული ტარიფი (გარდა მოსახლეობისა) – 4,5 თეთრი (მაშინდელი ფასებით -დაახლოებით 3.6 ცენტი) 1კვტსთ-ზე. მოსახლეობისთვის 3.2 თეთრი (დაახლოებით 2.56 ცენტი) 1კვტსთ-ზე. ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიას დაევალა წარმოედგინა წინადადებები, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ტარიფებში სოციალური დაცვის ზომების სისტემა, ხოლო ეკონომიკის სამინისტროს, ენერგეტიკის სამინისტროსა დაევალათ მარეგულირებელ კომისიასთან ერთად - მიეღოთ გადაწყვეტილება განსხვავებული საფეხურის (ძაბვის მიხედვით) ტარიფების დადგენის შესახებ .

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი **ელექტროენერგიის შესახებ**, რომელმაც ერთმანეთისგან განაცალკევა საკუთრების, კომერციული და მარეგულირებელი ფუნქციები ენერგეტიკის სექტორში. კანონმა შექმნა იურიდიული საფუძვლები სექტორში საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობების შემოღებისათვის, ინვესტიციების მოზიდვისათვის, კონკურენტუული ბაზრის შექმნისათვის. კანონმა, ასევე შემოიღო საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის ინტეგრირება დასავლეთის ქვეყნების შესაბამის ბაზრებთან. კანონი ადასტურებდა მარეგულირებლის დამოუკიდებელ სტატუსს. ამის შედეგად, მარეგულირებელი კომისია გამოეყო ეკონომიკის სამინისტროს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ერთეულად - **საქართველოს ელექტროენერგიტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიად** (სემეკი).

როგორც ვხედავთ, რეფორმები ეხებოდა ენერგეტიკის სექტორის მართვის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, სექტორის რეორგანიზებას, პრივატიზაციას და ტარიფებს. ამავე დროს, ყველა რეფორმა როდი იქნა გატარებული ზედმიწევნით და ზუსტ ვადებში, (რადგან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობა განიცდიდა სერიოზულ პრობლემებს საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულებაში), მაგრამ სამოქმედო გეგმა შემუშავებულ იქნა. **რეფორმებმა წამოჭრა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და მარეგულირებელი კომისიის შექმნის აუცილებლობა. მოგვიანებით - დღის წესრიგში დადგა აგრეთვე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხები.**

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, დაევალა ელექტროენერგიის სექტორში (1999 წლის მაისიდან - გაზის სექტორშიც) სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია. აგრეთვე, სექტორის განვითარების მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების, პრიორიტეტების და პროგრამების. განსაზღვრა მას მონაწილეობა უნდა მიეღო სექტორის საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის შექმნაში, ხელი შეეწყო ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის და ექსპორტ-იმპორტისთვის, შეემუშავებინა ენერგოუსაფრთხოების სტრატეგია და სტრატეგია არაორდინარული სიტუაციებისათვის და ა.შ. მესაკუთრის, მარეგულირებელის და ოპერატორის ფუნქციები გაიმიჯნა სამინისტროს ფუნქციებიდან.

1997წლიდან სემეკი გახდა საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირი სახელწოდებით: **საქართველოს ელექტროენერგიტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, რომელიც არ ექვემდებარება რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოს.** კომისიის ფუნქციებს წარმოადგენდა: **ლიცენზიების გაცემა, მოდიფიკაცია, გაუქმება და რეგულირება; ელექტროენერგიის გენერაციის, გადაცემის, დისპეჩერიზაციის, დისტრიბუციისა და მოხმარების საბითუმო და საცალო ტარიფების დადგენა და რეგულირება; დავების მოგვარება ლიცენზიატებს შორის, აგრეთვე ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის. კომისიას მიენიჭა ნორმატიული აქტების - დადგენილებების, აგრეთვე გადაწყვეტილებების გამოცემის უფლება. კომისიის წევრები დაინიშნენ პრეზიდენტის მიერ ფიქსირებული ვადით, ექვემდებარებიან ინტერესთა კომფლიქტის რეგულაციებს და ეკრძალებათ პოლიტიკური საქმიანობა. 1999**

წლის მაისიდან კომისიის ფუნქციებს დაემატა ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზიების გაცემა, აგრეთვე ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირება. მისი სახელი შეიცვალა და 2007 წლამდე იწოდებოდა როგორც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ხოლო 2007 წლიდან - საქართველოს ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის ბრძანებულებით, ვერტიკალურად ინტეგრირებული ენერგო კომპანია „საქენერგო“ რეორგანიზებული იქნა 3 ქვესექტორად - **გენერაცია, გადაცემა-დისპეჩერიზაცია და დისტრიბუცია.** გენერაციის სადგურების ბაზაზე ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებები. გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ერთეულების ბაზაზე შეიქმნა ფინანსურად დამოუკიდებელი კომპანია საქენერგო, რომელიც 1998 წელს გარდაიქმნა გადაცემისა და დისპეჩერიზაციის კომპანიებად. **2002 წელს ეს ორი კომპანია შეერწყა ერთმანეთს და ჩამოყალიბდა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. ელექტროენერგიის სადისტრიბუციო აქტივების საფუძველზე ჩამოყალიბდა დაახლოებით 70 რაიონული სააქციო საზოგადოებს, რომლებიც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს გადაეცათ მმართველობაში.**

„საქენერგოს“ დაყოფა კონკურენტულ და არაკონკურენტულ სფეროებად პოზიტიური ნაბიჯი იყო და ხელს უწყობდა რეფორმების წარმატებას, **მაგრამ რაიონული სადისტრიბუციო კომპანიების მუნიციპალიტეტებზე გადაცემამ სრულად მოშალა სექტორის ფინანსური მდგომარეობა. რეფორმატორებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ქვეყანა სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში იყო.** მუნიციპალიტეტები ფინანსური სახსრების უზარმაზარ დეფიციტს განიცდიდნენ. შესაბამისად, ადგილობრივი მთავრობების, კორუმპირებული თანამდებობის პირების, სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლების და კრიმინალების მიერ ეს კომპანიები განიხილებოდა, როგორც შემოსავლების უფასო წყარო. ამის შედეგად, ფული აღნიშნული სექტორიდან მიიმართებოდა სოციალური და სხვა საჭიროებებისთვის. სადისტრიბუციო კომპანიები არ უხდიდნენ მომსახურების საფასურს გადაცემისა და დისპეჩერიზაციის კომპანიებს, ხოლო, ელექტროსადგურებს - მიწოდებული ენერგიის საფასურს. ამან გამოიწვია გადაცემისა და გენერაციის ინფრასტრუქტურის შემდგომი ნგრევა - სექტორს არ გააჩნდა ფული არა მარტო რეაბილიტაციისთვის, არამედ ყოველდღიური ოპერირებისთვისაც. ენერგო კომპანიების თანამშრომლები თვეების განმავლობაში არ იღებდნენ ხელფასს და მათი ნაწილი ჩართული იყო კორუფციაში. მდგომარეობა გაუმჯობესდა პრივატიზაციის შემდგომ.

საქართველოს ენერგოსექტორის ფისკალურმა დანაკარგებმა 2001-2004 წწ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით 717,4 მლნ.დოლარს მიაღწია (იხ. ცხრილი).

პრივატიზაცია. ენერგეტიკული სექტორის პრივატიზებაში საქართველოს დაეხმარნენ დონორი ორგანიზაციები. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოხდა **მერილ ლინჩის** დაქირავება მრჩევლად ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზაციის საკითხებში. მთავრობამ შექმნა სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმოების პრივატიზაციის სახელმწიფო კომისია. **1998 წლის ზაფხულში გამოცხადდა ტენდერი თბილისის სადისტრიბუციო კომპანია „თელასის“ წილების 75%-ის პრივატიზაციაზე. მიღებული იყო 2 წინადადება - „ეი-ი-ეს“ კორპორაციისგან და ი-დი-ეფ-გან. ეი-ი-ეს კორპორაცია გამოცხადდა გამარჯვებულად.** პრივატიზაციის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1998 წლის 21 დეკემბერს და ეი-ი-ეს სილქ როუდ ჰოლდინგს

	2001	2002	2003	2004
Power sector				
Quantity delivered (million kWh) 1/	6085.5	6433.7	6669.8	7076.9
Cost (US cents)	4.1	4.1	4.5	5.0
Tariff (US cents)	4.1	4.1	4.2	4.8
Collection rate (percent) 2/	19.7	35.0	52.4	48.0
Generation cost (US$ million)	247.7	263.5	298.6	357.0
Billed amount (US$ million)	247.7	263.5	277.9	339.0
Collected amount (US$ million)	48.8	92.2	145.6	162.7
Total losses (US$ million)	198.9	171.3	152.9	194.3
Of which: price effect (US$ million)	0.0	0.0	20.6	18.0
Of which: non-payment effect (US$ million)	198.9	171.3	132.3	176.3
Total losses (percent of GDP)	6.2	5.0	3.8	3.7

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

B.V.-მ (ეი-ი-ეს კორპორაციის შვილობილი კომპანია) დაიწყო ოპერირება 1999 წლის 4 იანვრიდან. 2000 წელს „ეი-ი-ეს“-მა მოახდინა **თბილსრესის თბოელექტროსადგურის 2** ენერგობლოკის პრივატიზაცია, ხოლო 2 ჰიდროელექტროსადგური - **ხრამჰესი 1** (112.8 მეგავატიანი) და **ხრამჰესი 2** (110 მეგავატიანი) - გადაცემული იქნა მასზე 25 წლიანი მართვის ხელშეკრულებით. კახეთის სადისტრიბუციო კომპანია პრივატიზებული იქნა ქართველი ინვესტორის მიერ. ელექტროენერგიის დანარჩენი სექტორის პრივატიზაცია ვერ მოხერხდა

თელასის პრივატიზებამ უზარმაზარი გავლენა იქონია ელექტროენერგეტიკულ სექტორზე. პრივატიზაციამ ნათელი მოჰფინა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის ბევრ პრობლემას. მან აჩვენა, რომ მხოლოდ სადისტრიბუციო და გენერაციის კომპანიების პრივატიზაცია არ იყო საკმარისი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის, რადგან საბითუმო ბაზრის და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა, ნეგატიურად აისახებოდა სექტორზე. მთავრობამ გადაწყვიტა მოეწვია შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური კომპანიები, რომლებიც მართვაში აიღებდნენ ზემოაღნიშნულ საწარმოებს, **დანერგავდნენ მართვის თანამედროვე მეთოდებს და წინ აღუდგებოდნენ ეკონომიკურ ინტერესების მქონე ჯგუფების გავლენას.** აგრეთვე შესრულდა, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის რჩევები სადისტრიბუციო კომპანიების შერწყმის შესახებ 1 ან 2 სამეურნეო ობიექტად, რომელსაც 500 000 მომხმარებელი მაინც ეყოლებოდა (რათა ისინი მიმზიდველი გამხდარიყვნენ მომავალი ინვესტორისთვის), კერძოდ,ა მოხდა 66 სადისტრიბუციო კომპანიის შერწყმა ელექტროენერგიის გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში. 2001 წელს საქართველოს საბითუმო ვაჭრობის ელექტროენერგიის ბაზრის (GWEM) მმართველობა გადაეცა ესპანურ კომპანია „იბერდროლა“-ს 5-წლიანი ვადით. მმართველობის ხელშეკრულების სპონსორი იყო EBRD. 2003 წელს შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველობა გადაეცა ირლანდიულ კომპანია ESB International-ს. ხელშეკრულების სპონსორები იყვნენ მსოფლიო ბანკი და KFW (გერმანიის სახელმწიფო ბანკი). აგრეთვე 2003 წელს, ელექტროენერგიის გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მმართველობა გადავიდა PA კონსალტინგზე, USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის - საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ინიციატივის ფარგლებში.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმების II ეტაპი (2005-2012 წწ).

2004 წლის შემდგომი პერიოდის რეფორმების მნიშვნელოვანი დამახასათიაბელი ნიშანი იყო: **ძლიერი მთავრობა, ფინანსირება და წესრიგის დაცვა. თუ წინა წლებში ბევრი კარგი გადაწყვეტილება და ბრძანებულება ვერ შესრულდა ბიუროკრატიული წინააღმდეგობისა და ფინანსების სიმწირის გამო, 2004 წლის შემდეგ, ეს აღარ წარმოადგენდა პრობლემას.**

რეფორმები ენერგეტიკის სფეროში განახლდა 2005 წლიდან. მთავრობამ დაიწყო სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი ელექტროსადგურების, სადისტრიბუციო და გადამცემი ქსელების რეაბილიტაციის დაფინანსება. 2005 წლის დეკემბერში, ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებებით **გაუქმდა ელექტროენერგიის იმპორტისა და ექსპორტის ლიცენზიები. პასუხისმგებლობა ბაზრის წესების გაუმჯობესებაზე მარეგულირებლიდან ენერგეტიკის სამინისტროზე გადავიდა.** ელექტროენერგიის ბალანსისა და გაზის ბალანსის დამტკიცებაც ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციებში შევიდა. ამ პერიოდის ამოცანად განისაზღვრა **დერეგულაცია**.

კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებებმა მომდევნო წლებში შეცვალა ელექტროენერგიის ბაზრის ორგანიზაციული სტრუქტურა, გააუქმა საქართველოს საბითუმო ელექტროენერგიის ბაზარი და განსაზღვრა ელექტრონული სისტემის კომერციული ოპერატორის (ესკო) შექმნა, ა.შ. თავიდან





განსაზღვრა გადაცემის, დისტრიბუციის, პირდაპირი მომხმარებლის, კვალიფიციური საწარმოს და ა.შ. ტერმინები, დაადგინა მინიმალური მოთხოვნები გადაცემისა და დისტრიბუციის ქსელებზე მესამე მხარის დაშვებისთვის და ა.შ. მოხდა 13 მეგავატზე ნაკლები სიმძლავრის ელექტროსადგურების დერეგულაცია. განხორციელდა დარჩენილი სადისტრიბუციო კომპანიებისა და უმეტესი ელექტროსადგურების პრივატიზაცია. გამოიცა ელექტროენერგიის ბაზრის ახალი წესები. ახალი ჰიდროელექტროსადგურების შექმნის ხელშეწყობის მიზნით მიღებულ იქნა პროგრამა „განახლებადი ენერგია 2008“.

სექტორში განხორციელდა რამოდენიმე ასეული მილიონი დოლარის ინვესტიცია გენერაციის, დისტრიბუციისა და გადამცემი აქტივების რეაბილიტაციისათვის. მოკლე პერიოდში გამყარდა დისციპლინა ჯგუფური მრიცხველების გამოყენებით. **2006 წელს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარ მიზნად განისაზღვრა ელექტროენერგიაზე ქვეყნის მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება საკუთარი ჰიდრო რესურსების გამოყენებით, იმპორტის და შემდგომ თბური გენერაციის თანდათანობითი ჩანაცვლების გზით.**

მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს სექტორის კომერციალიზაცია და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესება. ეს უნდა განხორციელდეს: ინვესტიციების მოზიდვით, კონკურენციის ხელშეწყობით, პრივატიზაციის განხორციელებით, ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებით, ელექტროენერგიის ბაზრის თანდათანობითი ლიბერალიზაციით, დერეგულირებით და ახალი საბაზრო მოდელის შემოღებით. დოკუმენტი ადგენს მოთხოვნებს ელექტროენერგიის სადისტრიბუციო კომპანიების მიმართ,. იგი აგრეთვე ადგენს, რომ გენერაციის მცირე და ახალაშენებული სადგურები იყოს დერეგულირებული, შემოღებული იქნას სხვადასხა ტიპის ტარიფები და ა.შ.

პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ბაზრის თანდათანობით გახსნას და საბოლოოდ გახსნის ვადად განსაზღვრავს 2023 წელს. დოკუმენტის შემდგომი შესწორებების საფუძველზე, ეს თარიღი შეიცვალა 2017 წლით.

ბაზრის რეფორმების მსვლელობისას, საქართველოს საბითუმო ვაჭრობის ელექტროენერგიის ბაზარი (სებ) გაუქმდა და შეიქმნა ელექტროენერგიის ბაზრის კომერციული ოპერატორი (თუმცა, სებ-მა ესკოს შექმნის შემდეგ რამდენიმე ხანი იურიდიულად გააგრძელა არსებობა, რათა მომსახურებოდა ვალებს). ესკომ ფუნქციონირება დაიწყო 2006 წლის 1 სექტემბერს. მოგვიანებით ესკოს ეწოდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი და მისი ფუნქციებიც შესაბამისად დაკორექტირდა.

რაც შეეხება სახელმწიფო ელექტროსისტემას (სსე), დონორების მხარდაჭერამ სსე-ს საშუალება მისცა განეხორციელებინა კაპიტალდაბანდებები, რამაც 2005-2011 წლებში ჯამში შეადგინა 286.4 მილიონი ლარი, მათ შორის 123.3 მილიონი საკუთარი ფონდებიდან. ამან შედეგად მოიტანა გადაცემის სისტემის საიმედოობის გაზრდა. ეს აისახა გაუმჯობესებულ სანდოობაზე და გადაცემის სისტემის უკეთ განხორციელებაში.

გადამცემი ქსელის რეაბილიტაციის შედეგად, ტექნიკური დანაკარგები სისტემაში და ელექტრო-გადამცემი ხაზების გათიშვის შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა.

დასკვნები


რეფორმების შედეგად, 1994-2012 წლებში ელექტროენერგიის მიწოდება ჯერ თბილისისთვის, შემდეგ კი რეგიონებისთვის გაუმჯობესდა და ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე აღდგა 24-საათიანი მიწოდება. ჩატარდა ენერგეტიკული აქტივების დიდი ნაწილის რეაბილიტაცია, მოხდა სექტორის კომერციალიზაცია და ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობის გაზრდა

სექტორში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად დაინერგა მართვის თანამედროვე მეთოდები, მოწესრიგდა გადამცემი და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოება, რამაც შედეგად

მოიტანა ქვეყნის ენერგომომარაგების გაუმჯობესება.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, საქართველოს ენერგოსექტორის წინაშე კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევებია, რომლებიც უკავშირდება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას, ენერგეტიკულ გაერთიანებაში გასაწევრიანებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, ჰიდრო და სატრანზიტო პოტენციალის სრულად გამოყენებას და ა.შ. ამიტომ საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილია და მიმდინარეობს ენერგეტიკული სექტორის რეფორმების მესამე ეტაპი, რომელიც იმედი მაქვს წარმატებით იქნება განხორციელებული.

ირმა ქავთარაძე,
საქართველოს საპატრიარქის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი



წყარო: სსე წლიური ანგარიში 2014

გამოყენებული ლიტერატურა:

1.საქართველოს კანონი ,,ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“,თბილისი *1999წ.*

2.ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში ეკოლოგიის გათვალისწინებით. ი. ფრანგიშვილის რედაქციით. თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ.50-73.

3.გ. თავაძე, ი. ქავთარაძე, დ. ჩომახიძე, დ. მენაბდე, „ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა“. თბ. 2006.

4.რ. არველაძე საქართველოში ბაზისური ელექტროსადგურის მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. ჟურნალი ენერგია, №3, 1998,გვ. 27-33.

5.გ. სვანიძე. საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, ჯურნალი ენერგია №2. 1999.

6.რ. არველაძე, ნ. კერესელიძე. XXსაუკუნის ენერგეტიკა მისი შემდგომი პრობლემები და პერსპექტივები. ჟურნალი ენერგია, №4, 2000, გვ.3-13.

7.საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. საქარტველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.თბილისი,2006.

8.საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წლიური ანგარიშები.1999-2012წწ.

9.საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის წლიური ანგარიშები.2002-2008წწ.

10.საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს მრეწველობა ციფრებში 1913-20012წწ.

11. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. წლიური ანგარიში 2011.

SUMMARY

The paper deals with the recovery and development processes of electrical energy as a leading sector of the energy in Georgia in the period after independence.The article set out the electricity sector reform in two phases 1996-2004 and 2005-20012 years.

The goal of research is periodization and evaluation analysis of carried reforms in the electricity sector.